საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/8221
05/08/2020

8221-2-12-2-202008051020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით მიმდინარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ხევი-უბისას (F2) მონაკვეთის მოდერნიზაციის სამშენებლო სამუშაოები, აღნიშნული სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭიროა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალასთან, უსახელო ღელეს კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების #11 სანაყაროსა და წყალგამტარი არხის მოწყობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სოფელ ვერტყვიჭალაში, უსახელო ხევის კალაპოტში №11 სანაყაროს გამონამუშევარი ფუჭი ქანების მოწყობის განახლებულ პროექტს, ასევე საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის გიგზავნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალასთან, უსახელო ღელეს კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების #11 სანაყაროს პროექტის ფარგლებში წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების (წყალგამტარი არხის მოწყობის) პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიში-„1" (ერთი) წიგნი და „1" (ერთი)- დისკი;
სანაყაროს მოწყობის პროექტი -„1" (ერთი) წიგნი და „1" (ერთი)- დისკი.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge